საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE BODY

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 69

24 05 2016 წელი

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა ,,ნარიმანოვის N1“ -ზე მისაკუთვნებელი მიწის ნაკვეთის ფართისა და საზღვრების დადგენის შესახებ

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის სხდომის N9 ოქმის მე-14 საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 6 აპრილის N03/2185 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის 2016 წლის 23 მარტის N814-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით

1. დამტკიცდეს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა ,,ნარიმანოვის N1“-ს მრავალბინიან სახლზე მისაკუთვნებელი მიწის ნაკვეთის ფართი და საზღვრები ი/მ ,,ალახვერდი მამედოვი“ მიერ შესრულებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზის შესაბამისად (მიწის ნაკვეთის ფართი - 2237 კვ.მ განაშენიანების ფართი შენობა 01/5 – 850 კვ.მ;).

2. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა ,,ნარიმანოვის N1“-ს თავმჯდომარემ ზაურ მამედოვმა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოს კორპუსზე მიკუთვნებული მიწის ნაკვეთის ფართისა და საზღვრების (წითელი ხაზების) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში რეგისტრაცია.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს თეიმურაზ ბერიძეს.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: ნაბი აბდულაევი

383130 ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №73 ☎ 22 53 07 // 22 26 26 RUSTAVELI str MARNEULI